2016

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ბიულეტენი №5

პერიოდული გამოცემა

გაზაფხული 2016

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

შინაარსი

1. სახალხო დამცველის მისალმება 3

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი 4

3. მთავარი მოვლენა 5

3.1 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 5

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა 7

4.1 განხორციელებული ვიზიტები 7

4.1.1 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორცილებული ვიზიტები 7

4.1.2 მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი 7

4.1.3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მონიტორინგი 8

4.1.4 შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით მოთავსების იზოლატორის მონიტორინგი 9

4.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან 9

4.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა 10

4.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება 12

5. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ 13

5.1 N12 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა 13

6. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა 14

7. საკანონმდებლო მიმოხილვა 17

7.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში 17

7.2 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა 17

7.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში 19

8. ფოკუსი 20

8.1 ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში 20

9. ექსპერტის მოსაზრება 21

10. საერთაშორისო სიახლეები 22

11. მომავალი ღონისძიების ანონსი 23

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის N5 ბიულეტენი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩვენს მიერ გაზაფხულის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

პირველ რიგში აღსანიშნავია სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; ამავე პერიოდში, ასევე ჩატარდა ხუთამდე ვიზიტი თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში და ორჯერ განხორციელდა მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ვიზიტები განახორციელა N5, N11 და N3 პენიტენციურ დაწესებულებებში და შინაგან საქმეთა სამინისტროს N1 იზოლატორში. სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტთან თანამშრომლობით განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მონიტორინგი.

ბიულეტენი მოიცავს N12 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვას, „მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში“ სპეციალურ ანგარიშში შესული რეკომენდაციების შესრულების ანალიზს. საკანონმდებლო წინადადებების ნაწილში საუბარია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2015 წლის საპარლმენტო ანგარიშში გაცემულ რეკომენდაციაზე, წამების დეფინიციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით; გაეცნობით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს მიგრანტთა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვასთან მიმართებაში.

ბიულეტენის მთავარ თემას წარმოადგენს ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა აღნიშნულ პერიოდში არაერთი აქტივობა განახორციელა ამ კუთხით აღსანიშნავია სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის საკომიტეტო მოსმენა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა. პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა აგრეთვე გამართა საკონსულტაციო საბჭოს მეექვსე სხდომა, სადაც საბჭოს წევრებმა სახალხო დამცველს წარუდგინეს საკუთარი მოსაზრებები პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული აქტივობების, ანგარიშების, სამუშაო მეთოდოლოგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში ჩაუტარდათ ტრენინგი ანგარიშის წერის ტექნიკაში; გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატის სხვა თანამშრომლებთან ერთად ჩაუტარდათ ტრენინგი სხეულის დაზიანების დოკუმენტირებასთან დაკავშირებით.

ბიულეტინის წინამდებარე ნომერში ასევე იხილავთ ფონდ „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისის“ ხელმძღვანელის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრის ნინო მახაშვილის მოსაზრებებს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი

2009 წლიდან საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს. ამ მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველთან შეიქმნა სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომლის უფლებამოსილებები განსაზღვრულია „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის დებულებების განმარტებისა და პრაქტიკაში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების განსამარტად, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები გამოსცა.[1] სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, პრევენციის ეროვნული მექანიზმი წარმოადგენს ზედამხედველობის დამატებით სისტემას და ის არ ცვლის არსებულს ან არ გამორიცხავს ზედამხედველობის სხვა სისტემების შექმნას.[2] საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი და უფლებამოსილება, ასევე, უზრუნველყოფილია მისი ფუნქციონალური დამოუკიდებლობა.

გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ან შეზღუდვის ყველა დაწესებულებაზე. წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, პრევენციის ეროვნული მექანიზმი და სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები მუდმივად უნდა აწარმოებდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვას.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს განგრძობად ვალდებულებას და შესაბამისად პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანობა მუდმივად უნდა მოწმდებოდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე თავად პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ. ამასთან, ამ პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის შესაბამისი მოსაზრებები.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საკუთარი მანდატის თითოეული ასპექტის შესრულებისას ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს მოეთხოვებათ რეგულარულად გადასინჯონ მათი საქმიანობის მეთოდოლოგია და ქმედუნარიანობის ასამაღლებლად გაიარონ შესაბამისი სწავლება.[3]

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა უნდა შეიმუშავოს სამუშაო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ყველა ადგილის მონახულებას და იქ შესაბამისი შემოწმების ჩატარებას. საქმიანობა უნდა დაიგეგმოს და რესურსები გადანაწილდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილების ისეთი სიხშირით მონახულება, რაც ეფექტიან წვლილს შეიტანს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის საქმეში.[4]

საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმი ყოველი ვიზიტის შემდგომ გამოსცემს ანგარიშებს, ასევე წლიურ და სხვა ფორმის ანგარიშებს საჭიროების შესაბამისად. ანგარიშები, სადაც ეს აუცილებელია, უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს, რომელიც თავის მხრივ შემუშავებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის შესახებ მიღებული ნორმების, მათ შორის, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის კომენტარებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. პრევენციის ეროვნული მექანიზმი ვალდებულია სრულად დაიცვას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.[5]

---

[1] პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტი, 2010, პარ. 2.

[2] იქვე პარ. 5

[3] იქვე პარ. 30-31

[4] იქვე პარ. 33-34

[5] იქვე პარ. 36-37

3. მთავარი მოვლენა

3.1 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიში გამოსცა. დოკუმენტი შემუშავებულია „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

ანგარიში ყურადღებას ამახვილებს საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე და თავს უყრის სახალხო დამცველის მიერ ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებულ ძირითად უმნიშვნელოვანეს რეკომენდაციებს.

დოკუმენტი მიმოიხილავს სამოქალაქო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ფართო სპექტრს და მასში დიდი თავი აქვს დათმობილი პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს.

საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი და შესაბამისი დადგენილებით სახელმწიფო უწყებებს კონკრეტული ღონისძიებების გატარება დაავალა; ამ მიზნით, სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ახორციელებს. სამწუხაროდ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელია, რაც სერიოზულ რისკებს ქმნის ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პატიმართა წამება და არასათანადო მოპყრობის ფაქტები მთავარ გამოწვევას აღარ წარმოადგენს, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ მსჯავრდებულთა ათასობით საჩივარი კვლავ გამოძიების რეჟიმშია და ერთეული საქმეების გარდა, შედეგი ადამიანის უფლებათა ამ სისტემური დარღვევის ფაქტებზე არ დამდგარა.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩებოდა პოლიციასა და პენიტენციურ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფა. სახალხო დამცველი მიესალმება 2015 წელს პატიმრობის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებას, რომლის თანახმად, 2016 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიეცემა პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლება. დადებითად უნდა შეფასდეს ცვლილებები, რომელიც მიმართულია პენიტენციური სისტემის ცენტრალიზებულ მართვასა და შიდა ინსპექტირების სისტემის გაუმჯობესებისკენ. სახალხო დამცველი ასევე პოზიტიურად აფასებს მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების სისტემის შემოღებას და ხაზს უსვამს, რომ ამ სისტემის დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია მოხდეს რისკების სწორი შეფასება, ხოლო შემდგომ პერიოდულად გადასინჯვა. ამ პროცესში მსჯავრდებულმა დაუბრკოლებლად, სრულად უნდა ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის გარანტიებით.

არსებითი ხასიათის ხარვეზებია პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების ხასიათისა და წარმომავლობის სათანადო დოკუმენტირებისა და შესაბამისი რეაგირების თვალსაზრისით. საგამოძიებო ორგანო, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ამოღებას, ვინაიდან ეს ჩანაწერები არ ინახება გონივრული ვადით. მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, რომლის თანახმადაც ასეთი ჩანაწერები გონივრული ვადით უნდა იყოს შენახული, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანების შესაბამისად, ასეთი ჩანაწერები ინახება არანაკლებ 24 საათისა. ამდენად, კვლავ გაუგებარი რჩება, რეალურად რა ვადით ინახება სათვალთვალო კამერებით განხორციელებული ჩანაწერები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს არ ეძლევა

შესაძლებლობა გაეცნოს ასეთ ჩანაწერებს, რაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის განხორციელებისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის შეფასებით, პენიტენციური დაწესებულებებში კვლავაც არსებობს არასათანადო მოპყრობის მაღალი რისკი.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია კვალავაც უფლებამოსილია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახალხო დამცველთან/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთან შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე, რაც სახალხო დამცველის შეფასებით ეწინააღმდეგება ასეთი შეხვედრების კონფიდენციალურობის პრინციპს. გარდა ამისა, პრობლემურია დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევების რაოდენობის ზრდის ტენდენცია და ზოგადად დისციპლინური სახდელების გამოყენების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რაც ეჭვქვეშ აყენებს დისციპლინური სახდელების გამოყენების პროპორციულობას.

პენიტენციურ დაწესებულებებში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პატიმართა შორის ძალადობის პრევენცია, ციხის კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის წინააღმდეგ ქმედითი ზომების მიღება და წესრიგის დაცვა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია დაწესებულებებში პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისკენ მიმართული აქტივობების სიმწირით. დახურული ტიპის დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურა არ აძლევს პატიმრებს საშუალებას დაკავდნენ სპორტით ან სხვა საინტერესო აქტივობით, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ასეთ პირობებში იზრდება პატიმართა უკმაყოფილება, რაც მოთხოვნის/საჩივრის განხილვის ეფექტური შიდა მექანიზმის არარსებობის გამო, ხშირად პატიმართა მიერ თვითდაზიანებასა და პროტესტის სხვადასხვა უკიდურეს ფორმებში ვლინდება.

სახალხო დამცველის შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების კავშირი გარესამყაროსთან უკიდურესად შეზღუდულია, რაც ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. მნიშვნელოვანია განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ბრალდებულთა უფლებების უკეთესად დაცვისათვის.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხშირად ადგილი აქვს პატიმართა გადაყვანას აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციური დაწესებულებებიდან დასავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში და პირიქით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება პენიტენციური დაწესებულების დირექტორის საიდუმლო წერილს, რომელიც სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ასეთ შორ მანძილზე გადაყვანის შედეგად, პატიმრებს უჩნდებათ ოჯახთან და ადვოკატთან კონტაქტის შენარჩუნების პრობლემა.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ N7 დაწესებულებაში დღესაც უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს დაწესებულების ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. სახალხო დამცველმა აღნიშნულ დაწესებულებაში არსებული მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით არაერთი რეკომენდაცია გასცა. ამდენად, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით, ხოლო დაწესებულების დახურვამდე, აუცილებლად მიაჩნია დროებითი ღონისძიების სახით, პატიმართა მძიმე მდგომარეობის გარკვეულწილად შესამსუბუქებლად კონკრეტული ზომების დაუყოვნებლივ მიღება.

წინა წელთან შედარებით შემცირებულია პატიმართა გარდაცვალების, მათ შორის, სუიციდის შემთხვევები. გარდაცვალების შემთხვევათა შემცირება პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში მიღწეულ პროგრესზე მიუთითებს, თუმცა მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის სრულყოფისაკენ მიმართული ძალისხმევა.

2015 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა პოლიციის თანამშრომლების მიერ არასათანადო

მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაგზავნილი სახალხო დამცველის წინადადებების რაოდენობა. წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკებს ასევე ადასტურებს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში ჩატარებული კვლევაც.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ზოგიერთი განმცხადებლის სხეულზე არსებული დაზიანებების ლოკალიზაცია და ხასიათი, ასევე ის ფაქტი, რომ მიღებული დაზიანებების გამო აუცილებელი გახდა რამდენიმე მათგანის სამოქალაქო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ, რიგ შემთხვევებში, დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე დაკავებულ პირებს ღამის გატარება პოლიციის სამმართველოში მოუწიათ. იზოლატორში შესახლებამდე დაკავებული პირების პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა, შესწავლილ შემთხვევებში, 5 საათიდან 23 საათამდე მერყეობს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, დაკავების ოქმში მითითებული დაკავების ფაქტობრივი დრო არ ემთხვევა განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის დასახელებულ დროს.

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

4.1 განხორციელებული ვიზიტები

4.1.1 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორცილებული ვიზიტები

- პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 2016 წლის 26 – 27 აპრილს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით განმეორებითი საკონტროლო ვიზიტი განახორციელა N5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სახალხო დამცველი მიესალმება N5 დაწესებულებაში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებას. მათ შორის ხანგრძლივი პაემანის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას.

მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში ვითარება არ შეცვლილა ისეთ მნიშნელოვან საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა დაწესებულებაში პატიმრების მიღება და შემოწმების პროცედურები. სხვადასხვა კორპუსში მყოფ პატიმრებს არ აქვთ თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთონ სარეაბილიტაციო აქტივობებში. საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლების თავისებურებანი.

- პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით განმეორებითი საკონტროლო ვიზიტი განახორციელა 2016 წლის 23, 24 და 25 მაისს N3 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს N3 დაწესებულებაში არსებულ ვითარებას და აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში წინა პერიოდთან შედარებით ვითარება არათუ არ შეცვლილა, არამედ გაუარესებულია.

- საქართველოს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა 2016 წლის 11 მაისს ვიზიტი განახორციელა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.

ვიზიტების მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულებების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. დაწესებულებების თანამშრომლებმა ჯგუფს მათ ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია მიაწოდეს. სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამჟამად ამუშავებს მონიტორინგის დროს მოპოვებულ მონაცემებს. უახლოეს მომავალში იგეგმება ვიზიტის შემდგომი ანგარიშების საზოგადოებისათვის გაცნობა.

4.1.2 მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2016 წლის 10 მარტსა და 2016 წლის 15 აპრილს მიგრანტთა დაბრუნების

ერთობლივი ოპერაციების მონიტორინგი განახორციელეს.

2016 წლის 10 მარტს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები თბილისის აეროპორტიდან გაემგზავრნენ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფისა და საბერძნეთის დედაქალაქ ათენის აეროპორტებში, სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოს 44 მოქალაქის დეპორტაციის პროცესს დაესწრნენ.

დეპორტირებული პირების მიღების, შემოწმების და მგზავრობის პროცესის მონიტორინგი უწყვეტად მიმდინარეობდა. მგზავრობამ მშვიდ გარემოში ჩაიარა და დაბრუნების ოპერაციის მიმდინარეობისას დეპორტირებული პირების უფლების დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

2016 წლის 15 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები თბილისის აეროპორტიდან ასევე გაემგზავრნენ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფისა და საბერძნეთის დედაქალაქ ათენის აეროპორტებში, სადაც დაესწრნენ გერმანიიდან და საბერძნეთიდან საქართველოს 25 მოქალაქის დაბრუნების პროცესს.

დასაბრუნებელი პირების მიღების, შემოწმების და მგზავრობის პროცესის მონიტორინგი უწყვეტად მიმდინარეობდა. დასაბრუნებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათი მობილური ტელეფონები ბარგთან ერთად დაილუქა და შესაბამისად ვერ შეძლეს ოჯახებთან დაკავშირება. სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ შეატყობინეს ამის შესახებ „ფრონტექსის“ წარმომადგენლებს, რომლებმაც დიუსელდორფის აეროპორტის ტერიტორიაზე უზრუნველყვეს დასაბრუნებელი პირების მიერ ტელეფონით სარგებლობა. გერმანულმა მხარემ ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების შემდგომ მიზანშეუწონლად მიიჩნია ერთ-ერთი პირის საქართველოში დაბრუნება.

დაბრუნების ოპერაციის განმავლობაში სპეციალური საშუალებების გამოყენება არ მომხდარა და მგზავრობამ მშვიდ გარემოში ჩაიარა. თუმცა, საგულისხმოა, რომ დაბრუნების ოპერაციის განმახორციელებელ ესკორტს თან ახლდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის გადამღები ჯგუფი, რომელიც დეპორტაციის შესახებ სიუჟეტს ამზადებდა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში პრეს-სამსახურის თანამშრომლები ფოტო-ვიდეო გადაღებას დაბრუნებულ პირთა ნების საწინააღმდეგოდ ახორციელებდნენ, რის გამოც კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა. სიტუაცია განიმუხტა გადაღების დასრულების შემდგომ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნების პროცესის მონიტორინგს 2014 წლის დეკემბრიდან ახორციელებს. დაბრუნების პროცესს კოორდინირებას უწევდა ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი“ (FRONTEX).

4.1.3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მონიტორინგი

2016 წლის 14–21 მარტს პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის[6] საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მონიტორინგი. სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ვიზიტები განახორციელა სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ხუთ ტერიტორიულ ერთეულში (ფილიალში) – დუშეთის, მარტყოფისა და ძევრის შშმ პირთა პანსიონატებში, კოჯრის შშმ ბავშვთა პანსიონატსა და თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში.

მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა შშმ პირთა რეზიდენტულ დაწესებულებებში განთავსებული

[6] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის შესახებ ინფორმაცია იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებ–გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/shshm-pirebis-uflebata-dacvis-departamenti/shshm-pirta-uflebebis-konvenciis-monitoringis-meqanizmi>.

ბენეფიციარების უფლებათა დაცვის ხარისხი, მისი შესაბამისობა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით, სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები, როგორც ინსტიტუციური მოწყობის, ასევე ხარვეზიანი რეგულაციების და მავნე პრაქტიკის არსებობის კუთხით. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები სათანადოდ არ რეალიზდება, მათი ცხოვრების დონე არ არის ადეკვატური, ზოგიერთ შემთხვევაში კი ისინი არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი ხდებიან. სახელმწიფოს მიერ არ სრულდება საერთაშორისო დოკუმენტებით, მათ შორის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებები. შიდა საკანონმდებლო რეგულაციები საჭიროებს დახვეწას. ამავდროულად, მნიშვნელოვანი გამოწვევაა არსებული რეგულაციების აღსრულების და ზედამხედველობის გაძლიერება.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- ბენეფიციართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები
- ძალადობა და დისკრიმინაციული მოპყრობა
- დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზები
- პერსონალის ნაკლებობა და დაბალი კვალიფიკაცია
- უკუკავშირის მექანიზმის გაუმართავობა და ბენეფიციართა ინფორმირებულობის დაბალი დონე
- არაადაპტირებული ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურის გაუმართავობა
- ბენეფიციართა სოციალური პასიურობა და საზოგადოებისგან იზოლაციის საფრთხე
- პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევა
- ჯანმრთელობის უფლების დარღვევა და სხვ.

4.1.4 შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით მოთავსების იზოლატორის მონიტორინგი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 2016 წლის 16-17 მაისს მონიტორინგი ჩაატარეს შინაგან საქმეთა სამინისტროს N1 დროებითი მოთავსების იზოლატორში.

მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ თანამშრომლებს, შეამოწმეს 2016 წელს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია, მათ შორის, დაკავების, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორში გარეგნული დათვალიერების ოქმები. ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით. ამჟამად სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამუშავებს მონიტორინგის დროს მოპოვებულ მონაცემებს და განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს ასახავს სპეციალურ ანგარიშში.

4.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან

- **სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის საკომიტეტო მოსმენა**

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2015 წლის ანგარიში განიხილეს.

სახალხო დამცველის ანგარიშში შესული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა წარმოადგინა.
გამომსვლელთა განცხადებით, მთელი რიგი რეკომენდაციების შესასრულებლად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

სხდომის დასასრულს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის შემუშავების პროცესში, დეტალებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, კომიტეტის აპარატი მჭიდროდ ითანამშრომლებს სახალხო დამცველის აპარატთან.

4.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

- **სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის მოკლე ვერსიის პრეზენტაცია**

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 16 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ხელისუფლების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საპარლამენტო ანგარიშის მოკლე ვერსია წარმოადგინა. ანგარიშში ასახულია გასული წლის განმავლობაში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის ამსახველი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები.

აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო ანგარიშში დიდი ნაწილი უჭირავს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას დახურულ დაწესებულებებში. სახალხო დამცველმა, სხვა მნიშნელოვან საკითხებთან ერთად ყურადღება გაამახვილა წამების პრევენციის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

აღინიშნა, რომ კვლავ გამოძიების რეჟიმშია წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ მსჯავრდებულთა ათასობით საჩივარი; პრობლემად რჩება პოლიციასა და პენიტენციურ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების ეფექტური გამოძიება; არ სრულდება სახალხო დამცველის რეკომენდაციები სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვასთან და სასჯელაღსრულების N7 დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით.

2015 წელს მწვავედ იდგა პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის საკითხი; არაეფექტურია საქართველოს პროკურატურის საქმიანობა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დანაშაულების გამოძიების და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის კუთხით.

- **საქართველოს სახალხო დამცველი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას აფასებს**

2016 წლის 19 მაისს სახალხო დამცველმა სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.
ანგარიშში აღნიშნულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2014 წელთან შედარებით 2015 წელს უმნიშვნელოდ შემცირებულია დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირთა რაოდენობა, სხეულის დაზიანების 916 შემთხვევით ნაკლები დაფიქსირდა. ასევე შემცირებულია პოლიციის მიმართ პრეტენზიით მიმართვის შემთხვევები (30 შემთხვევით ნაკლები). მიუხედავად ამისა, მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა გაუარესებულია.

2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, გაიზარდა პოლიციის თანამშრომლების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაგზავნილი სახალხო დამცველის წინადადებების რაოდენობა. წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკებს ასევე

ადასტურებს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგი. უმეტეს შემთხვევებში, განმცხადებელთა ახსნა-განმარტებებში იკვეთება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისთვის პოლიციის თანამშრომელთა წინასწარი, მიზანმიმართული მზადება და მისი განხორციელება, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, რაც წამების დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ზოგიერთი განმცხადებლის სხეულზე არსებული დაზიანებების ლოკალიზაცია და ხასიათი; დაზიანებების გამო რამდენიმე მათგანი სამოქალაქო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე დაკავებულ პირებს ღამის გატარება პოლიციის სამმართველოში მოუწიათ. დაკავებული პირების პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა, შესწავლილ შემთხვევებში, 5 საათიდან 23 საათამდე მერყეობს; ამასთან, დაკავების ოქმში მითითებული დაკავების ფაქტობრივი დრო არ ემთხვევა განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის დასახელებულ დროს.

შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის მიერ 2015 წელს საქართველოს მთავარი პროკურორისთვის გაგზავნილი 11 წინადადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაციით და ეს მაშინ, როცა სახალხო დამცველის წინადადებებში მითითებული გარემოებები შეიცავს წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ნიშნებს.

ცალკეულ შემთხვევებში პრობლემური იყო პოლიციის მიერ დაკავებული პირების ისეთი სამართლებრივი დაცვის გარანტიების უგულვებელყოფა, როგორიცაა უფლებების განმარტება, ოჯახთან და ადვოკატთან დაკავშირება.

პოლიციის თანამშრომლებმა დაკავების ოქმებში არაერთხელ დააფიქსირეს მოქალაქეების მხრიდან აგრესიის გამოვლენის ტენდენცია, რა დროსაც, სახალხო დამცველის შეფასებით, პოლიციის თანამშრომელთა არასაკმარისი კვალიფიკაციის პირობებში, მაღალია ძალის გამოყენების და გადამეტების ალბათობა.

წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკებს შეიცავს პოლიციის მიერ პირთა გამოხატული და თავისუფალი თანხმობის გარეშე ჩატარებული ე.წ. „გასაუბრების“ პრაქტიკა პოლიციის ავტომანქანაში, სამმართველოში ან განყოფილებაში, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს საპროცესო უფლებების განმარტების გარეშე, თვითნებურ დაკავებას.

2015 წელს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა პოლიციის სამმართველოების უმეტესობაში შიდა პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის არარსებობა, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სამხრე ვიდეოკამერებით და მანქანის ვიდეო რეგისტრატორებით აღიჭურვონ არა მხოლოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, არამედ დეტექტივ-გამომძიებლები და უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებიც. ასევე, აუცილებელია, პრევენციის ეროვნულ მექანიზმს ჰქონდეს დაუბრკოლებელი წვდომა იზოლატორებში და პოლიციის სამმართველოებში არსებულ ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემებზე. ანგარიშში დეტალურად არის მიმოხილული წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის რისკფაქტორები და მათი აღმოფხვრის მიზნით გაცემულია არაერთი კონკრეტული რეკომენდაცია

- **ტრენინგი მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების შესახებ**

2016 წლის 16-20 მაისს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა, პოლიციის აკადემიაში მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების შესახებ ტრენინგის მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი და არასათანადო მოპყრობის პრევენციის საერთაშორისო სტანდარტები გააცნო.

მიგრანტთა კოლექტიური დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების მონიტორინგის შესახებ ტრენინგი ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსის“ (FRONTEX) ორგანიზებით ჩატარდა.

ტრენინგი მოიცავდა, როგორც თეორიულ აგრეთვე პრაქტიკულ სიმულაციურ სავარჯიშოებს; განიხილეს დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების დროს ადამიანის უფლებების დაცვისა და იძულების ღონისძიებების გამოყენების საკითხები.

4.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება

4.4.1 პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

2016 წლის 3 მაისს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მეექვსე სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე წარმოადგინეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2016 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. ისაუბრეს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებულ 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახულ საკითხებზე, მათ შორის პენიტენციური სისტემაში არსებულ გამოწვევებზე, სხვადასხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე. საკონსულტაციო საბჭოს წევრები გაეცნენ ინფორმაციას წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა კვლევებისა თუ აქტივობების შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საბჭოს წევრებმა სახალხო დამცველს წარუდგინეს საკუთარი მოსაზრებები პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული აქტივობების, ანგარიშების, სამუშაო მეთოდოლოგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის მოადგილეები, სახალხო დამცველის აპარატის დეპარტამენტის ხელმძღვანელები და მოწვეული ექსპერტები არიან, საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით 2014 წლის 15 დეკემბერს შეიქმნა და მისი მიზანია წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა.

4.4.2 სახალხო დამცველთან არსებული სპეციალური პრევენციული ჯგუფის განახლებულ შემადგენლობას ტრენინგი ჩაუტარდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამუშაო მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით

2016 წლის 15-17 აპრილს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამუშაო მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით ტრენინგი ჩაუტარდათ. ტრენინგის მიზანს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება წარმოადგენდა.

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

ტრენინგს გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი არმან დანიელიანი უძღვებოდა. ტრენინგზე წარმოდგენილი იყო წამების პრევენციის კუთხით არსებული საერთაშორისო სტანდარტები; გაიმართა დისკუსია სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგის ორგანიზაციულ ასპექტებსა და ანგარიშგების საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინტერვიუს ტექნიკაზე. მიმოიხილეს ანგარიშის სახეები და სტანდარტული სტრუქტურა. ტრენინგის განმავლობაში არაერთი პრაქტიკული სავარჯიშო გაკეთდა.

4.4.2 სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ტრეინინგი ჩაუტარდათ სხეულის დაზიანების დოკუმენტირებასთან დაკავშირებით

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 7-8 მაისს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების და პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტების, ასევე რეგიონული დეპარტამენტის თანამშრომლებსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, სხეულის დაზიანების დოკუმენტირებასთან დაკავშირებით ტრენინგი ჩაუტარდათ. ტრენინგის მიზანი იყო მონაწილეთათვის სხეულის დაზიანების დოკუმენტირების საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გაცნობა.

ტრენინგს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის წევრი, ექსპერტი ჯორჯე ალემპიევიჩი უძღვებოდა. ტრენინგზე განიხილეს წამების მეთოდები, დაზიანებების დოკუმენტირება სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით, სამედიცინო მტკიცებულებების დოკუმენტირებისა და შეტყობინების კუთხით არსებული ევროპული სტანდარტები. მონაწილეებმა პრაქტიკული სავარჯიშოები შეასრულეს.

დისკუსიაზე სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგისას დაზიანებების წარმოშობის მიზეზების დადგენისა და ანგარიშგების საკითხები განიხილეს.

4.4.3 სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი „ლტოლვილთა სამართლის ძირითადი პრინციპების“ შესახებ

19–20 მაისს, სასტუმრო „შატო მერეში“ გაიმართა სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობის შესწავლაში“ ფარგლებში, ტრენინგი „ლტოლვილთა სამართლის ძირითადი პრინციპების შესახებ“. ტრენინგი გაიმართა მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთათვის. მასში მონაწილეობა მიიღეს, როგორც თბილისის ასევე რეგიონების თანამშრომლებმა, რომლებსაც მუშაობა უწევთ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, მათ შორის ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა საკითხებზე.

ტრენინგზე განიხილეს ლტოლვილთა სამართლის ზოგადი პრინციპები. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს არგაძევების პრინციპსა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მუხლებზე და მათ შესაბამისობაზე „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციასთან, რომელიც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა სალომე ქუსიკაშვილმა წარმოგვიდგინა.

ტრენინგზე საუბარი იყო თავშესაფრის სისტემაზე საქართველოში და სახელმწიფოს ხედვასა და პროცედურებზე, რომელიც წარმოგვიდგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს უფროსმა ირაკლი ლომიძემ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ერთობლივი ბრძანების თაობაზე საქართველოში გაეროს ასოციაციის იურისტმა ნინო ლოლაშვილმა ისაუბრა.

5. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ

5.1 N12 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა

N12 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვაში წარმოგიდგენთ, დაწესებულების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებულ ანგარიშებში არსებულ ინფორმაციას.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N12 პენიტენციური დაწესებულება მდებარეობს თბილისში, გორგასლის ქ. N77–ში. იგი წარმოადგენს ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას. მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი შეადგენს 450 მსჯავრდებულს.[7] დაწესებულება ადრე

[7] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N115-ე ბრძანება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N12 პენიტენციური

წარმოადგენდა სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებულ საპარლამენტო ანგარიშებში N12 დაწესებულება პირველად ნახსენებია 2010 საპარლამენტო ანგარიშში. 2010 წლისათვის არსებული ინფორმაციის შედეგად ირკვევა, რომ აღნიშნული პერიოდისათვის დაწესებულებაში არსებობდა სერიოზული ინფრასტრუქტურული პრობლემები. სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა იყო ცუდი. დაწესებულებას შექმნის შემდგომ ჩატარებული ჰქონდა მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი და ისიც მხოლოდ პირველ სართულს, სადაც განლაგებული იყო ადმინისტრაციის თანამშრომლების ოთახები და სამედიცინო ნაწილი. წარმოდგენილი პერიოდისათვის დაწესებულება თბებოდა ელექტროქურებით. დაწესებულებაში არ არსებობდა ხანგრძლივი პაემანისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებიდან ირკვევა, რომ დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები არ შეცვლილა 2011-2012-2013 წლებში. 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველის მიერ გაცემულ იქნა, რეკომენდაცია N12 დაწესებულებისათვის კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარების ან მისი დახურვის თაობაზე. 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში ხაზგასმული იყო, რომ დაწესებულებაში არსებული პირობები არ არის მიზანშეწონილი პატიმრების მოსათავსებლად.

2014 წლიდან N12 დაწესებულებაში უკვე ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა, მათ შორის საგამოძიებო ოთახებში და სხვა დამხმარე ფართში. მოეწყო ხანგრძლივი პაემანისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა. აშენდა ახალი საცხოვრებელი კორპუსი. თუმცა დაწესებულებაში დღემდე არ არსებობს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა.

2015 წლის განმავლობაში კი N12 დაწესებულებაში ჩატარდა სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები. მათ შორის, გარემონტდა და გამოიყო სილამაზის სალონისათვის განკუთვნილი ოთახი; კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა მსჯავრდებულთა კომპიუტერული სწავლებისთვის განკუთვნილ ოთახს; მე-4 და მე-5 საცხოვრებელ კორპუსებს და მასში არსებულ სველ წერტილებს; ივლისის/აგვისტოს თვეში რემონტი ჩატარდა დაწესებულების სამედიცინო ბლოკში, გამოიყო და გარემონტდა „C“ ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამისთვის სპეციალიზებული ოთახი, გარემონტდა მთავარი ექიმის ოთახი, სამედიცინო ბლოკის ტერიტორიაზე მოეწყო მედიკამენტების ახალი საცავი და ფარმაცევტის კაბინეტი.

2015 წლის განმავლობაში განხორციელებული სარემონტო სამუშაოების მიუხედავად, პატიმართა ძირითადი საცხოვრებელი კორპუსი მოძველებულია და საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, უფრო ცუდ მდგომარეობაშია სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმართა საცხოვრებელი შენობა. აღნიშნული ეხება, როგორც ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, ასევე სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. ამორტიზებული ინფრასტრუქტურის გამო შეუძლებელია საცხოვრებელ საკნებში სათანადო სისუფთავის შენარჩუნება. 2015 წლისათვის ისევ პრობლემურია ზოგიერთ საცხოვრებელ საკანში არსებული ფართის შეუსაბამობა საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნებთან. კერძოდ, მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმმა მოამზადა მე-12 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიში, სადაც დეტალურად არის მიმოხილული დაწესებულებაში არსებული ვითარება.[8]

6. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა

6.1 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „მოთხოვნის/საჩივრის

დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხ. 2, პირველი ნაწილი.

[8] პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 14 სექტემბერს N12 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიში, ანგარიში ხელმისაწვდომია შედეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/

განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში“[9]

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი უზრუნველყოფს პატიმართა უფლებების პატივისცემას და წარმოადგენს ფუნდამენტურ გარანტიას არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. ასეთი მექანიზმის არარსებობა უარყოფითად აისახება პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე. მოთხოვნებსა და საჩივრებზე არაჯეროვანი რეაგირების გამო პატიმრები ხშირად მიმართავენ პროტესტის უკიდურეს ზომებს – შიმშილობასა და თვითდაზიანებას.

უფლებების შესახებ პატიმართა ინფორმირების არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა სათანადო ინფორმირებულობას, როგორც ზოგადად პატიმართა უფლებების, ასევე კონკრეტულად მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის შესახებ.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პატიმრებს რეგულარულად არ მიუწვდებათ ხელი მათ უფლებებსა და გასაჩივრების პროცედურის შესახებ ინფორმაციაზე. პენიტენციურ დაწესებულებებში არც დერეფნებში და არც საცხოვრებელ საკნებში არ არის გამოკრული პატიმართა უფლებების ნუსხა, მათ შორის, მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია.

მისასალმებელია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იზიარებს სახალხო დამცველის პოზიციას პატიმართა სათანადო ინფორმირებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. აღსანიშნავია სამინისტროს მზადყოფნა, გამოსცეს სხვადასხვა თემატიკის საინფორმაციო ბროშურები რამდენიმე ენაზე, მომზადოს ბანერები და პლაკატები და განათავსოს პენიტენციურ დაწესებულებებში, რათა ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

დადებითად უნდა შეფასდეს დაწესებულებებში არსებული ვითარება მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლების რეალიზებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც პატიმრებს ბოლო ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდში არ ჰქონდათ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას და აპირებს დამატებითი ზომების გატარებას, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრები სრულად იყვნენ უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პატიმრების აბსოლუტური უმრავლესობისათვის სარეგისტრაციო ნომრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ ხდება კონფიდენციალურობის დაცვით.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო არ იზიარებს სახალხო დამცველის პოზიციას გაგზავნილი კონფიდენციალური საჩივრის რეგისტრაციის ნომრისა და შესაბამისი კოდის საჩივრის ყუთთან გამოკვრასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მიუხედავად ამისა, სამინისტრო მზადყოფნას აცხადებს, მიიღოს მონაწილეობა აღნიშნული რეკომენდაციის განხილვაში.

პრობლემას წარმოადგენს დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი პატიმრის მიერ თანხმლები პირის გარეშე საჩივრის ყუთით სარგებლობის შეუძლებლობა. ასევე, რიგ დაწესებულებებში საჩივრების ყუთი სათვალთვალო კამერების ხედვის არეალში ხვდება. კონფიდენციალურობა ირღვევა, როდესაც სოციალური სამსახურის თანამშრომლის დახმარებით საჩივრის დაწერისას საკანში უსაფრთხოების თანამშრომელიც იმყოფება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ნაწილობრივ იზიარებს სახალხო დამცველის პოზიციას, კონკრეტულად კი აღნიშნავს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში, გარდა N9 პენიტენციური დაწესებულებისა, საჩივრების ყუთები არ ხვდება სათვალთვალო კამერების ხედვის არეალში.

დახურული ტიპის დაწესებულებებში კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება იდენტიფიცირების გარეშე არ

[9] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში“ სრული ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ შედეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/

ხდება. კონფიდენციალურობის აშკარა დარღვევის პრაქტიკას წარმოადგენს კონვერტის მოთხოვნისას სოციალური სამსახურის თანამშრომლის მიერ კონვერტის ნომრის და პატიმრის სახელისა და გვარის ჩანიშვნა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო არ იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას და მიიჩნევს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველყოფილია კონფიდენციალური საჩივრის კონვერტების თავისუფალი ხელმისაწვდომობა.

შემაშფოთებელია სახალხო დამცველის აპარატიდან მსჯავრდებულებისთვის გაგზავნილი კორესპონდენციის გახსნილ მდგომარეობაში დარიგება, აგრეთვე დაწესებულების თანამშრომლების მიერ დახურული კონვერტების პატიმრის თანდასწრებით გახსნა და მათ პირად საქმეში ჩადება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას და აპირებს დამატებითი ზომების გატარებას, რათა შეიცვალოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან მსჯავრდებულებისთვის გაგზავნილი კორესპონდენციის გახსნილ მდგომარეობაში დარიგების პრაქტიკა.

საჩივრების, მოთხოვნისა და განცხადების განხილვის სხვადასხვა ვადის გამო პრობლემას წარმოადგენს პენიტენციური სისტემის სხვადასხვა ერთეულის მიერ პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნისა და საჩივრის, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან გამომდინარე განცხადების დიფერენცირება და დადგენილ ვადაში რეაგირება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას. შესაბამისად, მინისტრმა გენერალურ ინსპექციას მისცა მითითება სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნა/საჩივრებზე დროული რეაგირებისა და შესაბამისი ვადების დაცვის შესახებ.

პრობლემურია გენერალური ინსპექციის მეთოდოლოგია საკითხის შესწავლისას, კერძოდ, ისინი ძირითადად შემოიფარგლებიან მხოლოდ პატიმრისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების გამოკითხვით. გენერალური ინსპექციის წარმომადგენლები ყველა შემთხვევაში არ სწავლობენ დოკუმენტურ და სხვა მტკიცებულებებს, არ გამოკითხავენ სხვა პატიმრებს და სხვა მოწმეებს. ასევე, გამოკითხვისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უსვამენ მისახვედრ კითხვებს და მიღებულ პასუხებს არ ამოწმებენ სხვა წყაროებით.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იზიარებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციას გენერალური ინსპექციის სამუშაო მეთოდოლოგიის დახვეწის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამჟამად მიმდინარეობს გენერალური ინსპექციის სამუშაო მეთოდოლოგიის, სამუშაო ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება.

სასჯელაღსრულების დახურული ტიპის დაწესებულებებში პრობლემებია პატიმართათვის განკუთვნილი პასუხების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, პატიმარს აცნობენ მისი განცხადების პასუხს, თუმცა არ უტოვებენ საკანში. არის შემთხვევები, როცა პატიმარი ვერ ახერხებს სათანადოდ გაეცნოს მიღებულ პასუხს და განახორციელოს შემდგომი რეაგირება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იზიარებს სახალხო დამცველის პოზიციას, პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტები. სამინისტროდან მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ სამინისტრო უახლოეს პერიოდში გეგმავს დაწესებულებების დებულებებში არსებული ამკრძალავი ჩანაწერის გადახედვას, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დადებითად უნდა შეფასდეს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ მდგომარეობის კრიტიკული შეფასებისა და დარღვევების გამოვლენის პრაქტიკა. მნიშვნელოვანია აღნიშნული სამმართველოს საქმიანობის შემდგომი გაძლიერება და მისი შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანია სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს სამუშაო მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწა, თანამშრომელთა პროფესიული სწავლება, სამმართველოს უფლებამოსილებების შესახებ პატიმართა სათანადო ინფორმირება და საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

7. საკანონმდებლო მიმოხილვა

7.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლში, სადაც უნდა დაკონკრეტდეს, რომ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ წამების ფაქტის შესახებ ინფორმაციის არსებობისას გამოჩენილი უმოქმედობის შემთხვევაში, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც წამება ჩადენილი მდუმარე თანხმობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლის მიხედვით წამება განმარტებულია, როგორც „პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლში არ არის გათვალისწინებული ისეთი შემთხვევა, როდესაც წამება ჩადენილია სახელმწიფო თანამდებობის პირის ან სხვა ოფიციალური პირის უმოქმედობით, რაც გამოიხატება აღნიშნული პირის მდუმარე თანხმობაში. შესაბამისად, სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილების განხორციელება, წამების წინააღმდეგ კონვენციაში არსებული განმარტების ზუსტი ასახვისათვის. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 144[1] მუხლში უნდა განისაზღვროს, რომ წამება შესაძლებელია ჩადენილ იქნეს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მდუმარე თანხმობით. აღნიშნული დისპოზიციის არარსებობა ქმნის შესაძლებლობას, რომ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ წამების განხორციელებისას გამოჩენილი უმოქმედობის შემთხვევაში მისი ქმედების კვალიფიკაცია არ მოხდეს წამების მუხლით.

7.2 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა

7.2.1 მიგრანტთა დაცვა არასათანადო მოპყრობისაგან

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება შესაძლებელია ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან იმ პირის წინააღმდეგ, რომლის მიმართაც ხორციელდება დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის პროცედურები. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა თავისუფლების შეზღუდვის მიზანი მნიშვნელოვნად განსხვავდება ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისაგან. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ხაზს უსვამს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ პირის დაკავება და თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს გამოყენებული, როგორც საგამონაკლისო წესი, დაშვებული მხოლოდ კანონის საფუძველზე და შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში.[10] აღნიშნული პრინციპების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიგრანტებთან დაკავშირებით, რომლებიც თავისი სტატუსით არ წარმოადგენენ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს. გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობის მე-8 პრინციპი, ხაზს უსვამს დაკავებული უცხოელის სტატუსის შესაბამისი მოპყრობის აუცილებლობას. გაძევების მიზნით უცხოელის დაკავების შემთხვევაში მნიშნელოვანია, რომ ისინი აღმოჩნდნენ საემიგრაციო დაკავების გარემოში[11] და ისეთ პირობებში, სადაც მათ მიეცემათ ინფორმაცია და ხელი მიუწვდებათ იმ პროცედურებზე, რომლებიც აუცილებელია მათი სტატუსის დასადგენად.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღიარებს, რომ შესაძლებელია დაკავებულ უცხოელებს გარკვეული დროის გატარება მოუწიოთ პოლიციის განყოფილებების

[10] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 9(1); საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ, მუხლი 16(4).

[11] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-7 საერთო ანგარიში, პარ. 29, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-07.htm [ბოლოს ნანახია 10.06.2016]

ჩვეულებრივი დაკავების პირობებში. თუმცა, პოლიციის განყოფილებებში არსებული პირობები ხშირად, თუ ყოველთვის არა, არ არის სათანადო ხანგრძლივი დროით დაკავებისათვის. შესაბამისად, დაკავებული მიგრანტების მიერ ამგვარ დაწესებულებებში გატარებული დროის პერიოდი დაყვანილ უნდა იქნას აბსოლუტურ მინიმუმამდე.[12]

გაეროს რეზოლუცია მიგრანტთა დაცვის შესახებ მოუწოდებს სახელმწიფოებს პატივი სცენ ადამიანის უფლებებსა და მიგრანტთა ღირსებას, რათა არ მოხდეს დაუსაბუთებელი დაკავება და დაპატიმრება, ხოლო იქ სადაც საჭიროა გადაიხედოს დაკავების ხანგრძლივობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტების დიდი ხნით დაკავება, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში მიღებულ იქნეს დაკავების ალტერნატიული ზომები.[13]

გაეროს ზოგადი კომენტარი ხაზს უსვამს, რომ დაკავება თავისთავად იმიგრაციის კონტროლთან დაკავშირებით ავტომატურად არ უნდა ჩაითვალოს დაუსაბუთებელად, მიუხედავად ამისა დაკავება უნდა იყოს გამართლებული, როგორც გონივრული, აუცილებელი და პროპორციული ზომა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით.[14]

დაკავების ალტერნატივად შეიძლება ჩაითვალოს „ნებისმიერი კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს თავშესაფრის მაძიებელს, ლტოლვილებსა და მიგრანტებს, იცხოვრონ საზოგადოებასთან, თავისუფალი გადაადგილების პირობებში, ხოლო მათი მიგრაციის სტატუსი წყდებოდეს აღნიშნულ პირობებში ყოფნის პერიოდში“.[15]

გაეროს სპეციალური მომხსენებლის აზრით, შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი არიან ყოველთვის განიხილონ დაკავების ალტერნატივა (არასაპატიმრო ღონისძიებები). ვიდრე გამოყენებულ იქნება პატიმრობა, აუცილებელია დეტალური ინსტრუქციების მიცემა და შესაბამისი ტრენინგების შემუშავება მოსამართლეებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეებისათვის, როგორებიცაა პოლიცია, სასაზღვრო და საემიგრაციო ოფიცერი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არასაპატიმრო ღონისძიებების სისტემური გამოყენება.[16]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოები შერჩევით უნდა იყენებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას მიგრანტებისათვის თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით; დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ თითოეული საქმის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ.[17]

დაკავებულ მიგრანტებს მათთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და ნათლად უნდა განემარტოთ მათი უფლებებისა და მათ მიმართ გამოყენებული პროცედურების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ დაკავებული მიგრანტები სისტემატიურად იყვნენ უზრუნველყოფილნი დოკუმენტით, რომელშიც განმარტებული იქნება მათ მიმართ გამოყენებული პროცედურები და მოცემული იქნება ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ ენებზე, რომლებზეც ჩვეულებრივ საუბრობენ მოცემული პირები და,

[12]წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარა. 27, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია 07.06.2016]

[13] გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2012 წლის 20 დეკემბერს მიღებული რეზოლუცია 67/172 მიგრანტთა დაცვა, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/67/172 [ბოლოს ნანახია 06.06.2016]

[14]გაეროს N35 ზოგადი კომენტარი - მუხლი 9 (ადამიანის თავისუფლება და უსაფრთხოება) პარა. 18, მიღებულია 2014 წლის 16 დეკემბერს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ohchr.org/EN/Pages/Home.aspx [ბოლოს ნანახია 11.06.2016]

[15]საერთაშორისო დაკავების კოალიცია, არსებობს ალტერნატივები: არასაჭირო საიმიგრაციო დაკავების თავიდან აცილების სახელმძღვანელო, (მელბურნი 2011) ტერმინთა ლექსიკონი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ohchr.org/Documents/Issues/Migration/Events/IDC.pdf [ბოლოს ნანახია 11.01.2016]

[16] სპეციალური მომხსენებლის ანგარიში მიგრანტთა უფლებების შესახებ, პარა. 53, 2012 წლის 2 აპრილი, A/HRC/20/24, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?m=97 [ბოლოს ნანახია 11.06.2016]

[17] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარა. 80, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია 10.06.2016]

აუცილებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას თარჯიმნის მომსახურება.[18]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტს მიაჩნია, რომ დაკავებული კანონიერი საფუძვლის გარეშე ქვეყანაში მყოფი მიგრანტები, სხვა კატეგორიის თავისუფლებააღკვეთილი პირების მსგავსად, თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდანვე უნდა სარგებლობდნენ სამი ძირითადი უფლებით: 1. ადვოკატის ხელმისაწვდომობა; 2. ექიმის ხელმისაწვდომობა; 3. პირის შერჩევით, ნათესავის ან მესამე პირის შეტყობინების უფლება დაკავების შესახებ.[19]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიგრაციის ცენტრები უნდა იყოს სათანადოდ მოწყობილი, სუფთა და კარგ მდგომარეობაში და უზრუნველყოფდეს განთავსებულ პირთა რაოდენობის შესაბამის საცხოვრებელ ფართს. გარდა ამისა, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საცხოვრებელი ფართის ინტერიერსა და წყობას, რათა შეძლებისდაგვარად, არ შეიქმნას ციხის მსგავსი გარემო.[20] მნიშვნელოვანია, რომ უცხოელების გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა დაწესებულების ფარგლებში იყოს მაქსიმალურად მცირე.[21]

7.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარალამენტო ანგარიშში[22] საუბარი იყო იმაზე, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პატიმრებს ხელი არ მიუწვდებათ „C“ ჰეპატიტის სოფოსბუვირით მკურნალობაზე, რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფო „C“ ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში.

საქართველოს მთავარობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, C ჰეპატიტის მართვის პროგრამით მოსარგებლები იყვნენ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები. სახალხო დამცველმა 2015 წლის 9 დეკემბერს პენიტენციური დეპარტამენტის N17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დამამცირებელი მოპყრობისა და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ N13-2/1446 რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავარობას, სადაც აღნიშნული იყო, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირების მსგავსად, „C“ ჰეპატიტის სოფოსბუვირით მკურნალობა ხელმისაწვდომი იყოს პენიტენციურ სისტემაში მოთავსებული, შესაბამისი მკურნალობის საჭიროების მქონე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვისაც.

მისასალმებელია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული პასუხის შესაბამისად, რეკომენდაციაში დასხმული პრობლემა აღმოფხვრილია.[23] ამასთანავე, ცვლილებები განხორციელდა C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №169 დადგენილების მე-2 მუხლში, სადაც ,,ბ'' ქვეპუნქტად მიეთითა, რომ პროგრამის მოსარგებლეები აგრეთვე არიან პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულები/მსჯავრდებულები.

[18] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარა. 30, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია 15.06.2016]

[19] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარა. 81, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია 14.06.2016]

[20] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარა. 29, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია 12.06.2016]

[21] იქვე, პარა 79

[22] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 162-163.

[23] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის 20 მაისის პასუხი MOC 2 16 00421050.

8. ფოკუსი

8.1 ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 31 მაისს სახალხო დამცველმა სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს საქართველოში მოქმედ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში წარუდგინა, რომელიც სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 12 სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს ასახავს.

მონიტორინგის ჯგუფი დაკომპლექტებული იყო მულტიდისციპლინური პრინციპით და შედგებოდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისა და სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის თანამშრომლებისგან. მონიტორინგის მოსამზადებელ ეტაპზე მონიტორინგის ჯგუფმა სპეციალურად მოწვეული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტის ზედამხედველობით შეიმუშავა მონიტორინგის მეთოდოლოგია.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ არასაკმარისი დაფინანსება საბოლოო ჯამში იწვევს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვალიფიციური პერსონალის სიმცირეს, სათანადო, თერაპიული გარემოს არარსებობას, მკურნალობის, მოვლის, ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის დაბალ ხარისხს, ხანგრძლივ ჰოსპიტალიზაციას და თემზე დაფუძნებული სერვისების ხელმიუწვდომლობას.

საქართველოს ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემა ადამიანური რესურსების მკვეთრ ნაკლებობას განიცდის. ასევე პრობლემურია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის პროფესიული სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე სათანადო სამუშაო პირობების და ადეკვატური სოციალური დაცვის გარანტიების არარსებობა.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ვიზიტების მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა არაერთი შეტყობინება მიიღო პაციენტთა მიმართ ფიზიკური ძალადობის და სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ. ამასთან, არასათანადო მოპყრობად შეიძლება შეფასდეს პაციენტთა ზოგიერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკიდურესად ცუდ პირობებში მოთავსება, რიგ შემთხვევებში, ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის ფაქტები, ფიზიკური შებოჭვის მეთოდების და ინექციის სხვა პაციენტთა თანდასწრებით გამოყენება, სომატური დაავადებების დროული და ადეკვატური მკურნალობის ხელმიუწვდომლობა, უგულვებელყოფის პირობებში ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია და არანებაყოფლობითი სამედიცინო ინტერვენცია. მონიტორინგის შედეგად ასევე გაირკვა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არსებობს პაციენტთა შორის ძალადობის და უსაფრთხოების სათანადოდ დაცვის პრობლემა.

ზოგიერთ დაწესებულებებში არსებული ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არა მხოლოდ ხელს არ უწყობს ხელსაყრელი თერაპიული გარემოს შექმნას, არამედ ქმნის ისეთ ვითარებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. უმძიმესი პირობებია სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (ქუტირი).

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში საუბარია ფორმალურად ნებაყოფლობით, ხოლო რეალურად არანებაყოფლობით სტაციონირებული პირების მოწყვლად სამართლებრივ მდგომარეობაზე. სასამართლო კონტროლს მიღმა მყოფი ბენეფიციარები ვერ ახერხებენ საკუთარი უფლებების დაცვას და მათი ნების საწინააღმდეგო სამედიცინო ინტერვენციებს და ფიზიკურ შეზღუდვას ექვემდებარებიან. ამგვარად ირღვევა ამ პაციენტების პიროვნული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება.

ანგარიშში მიმოხილულია ფსიქიატრიულ დახმარებასთან და სომატური დაავადებების მკურნალობასთან დაკავშირებული პრობლემები. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა მკურნალობის სტანდარტების შემოწმებისას

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაადგინა, რომ უმეტეს დაწესებულებაში, როგორც მენეჯერების, ასევე პერსონალის მიერ, მკურნალობა გაგებულია და დაყვანილია ფარმაკოლოგიურ თერაპიამდე, რაც თანამედროვე ბიოფსიქოსოციალური მიდგომის და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ჯანდაცვის პრინციპებს არ შეესაბამება. მწვავედ დგას ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის პრობლემა. არაერთი პაციენტი თვეების და წლების მანძილზე, ფაქტიურად, „გაუსვლელად“ იმყოფება სტაციონარში, ხშირად არ საჭიროებს აქტიურ მკურნალობას, მაგრამ ვერ ტოვებს საავადმყოფოს იმის გამო, რომ „წასასვლელი არ აქვს“ ან იმიტომ, რომ ოჯახი თავს არიდებს მის სახლში წაყვანას.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი მივიდა დასკვნამდე, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სომატური დაავადებების მკურნალობის კუთხით მწვავე პრობლემებია. როგორც გარდაცვლილ პაციენტთა სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, არაერთ შემთხვევაში არსებობდა სომატური ჯანმრთელობის მდგომარეობის სათანადო გამოკვლევისა და მკურნალობის საჭიროება, მაგრამ სამედიცინო დოკუმენტაციით არ დასტურდება ასეთი გამოკვლევებისა და მკურნალობის ჩატარების ფაქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ ძირითად რეკომენდაციას ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების გაზრდა, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, ასევე ფსიქიატრიული დახმარების ხარისხისა და დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება წარმოადგენს.

9. ექსპერტის მოსაზრება

ფონდ „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისის“ ხელმძღვანელი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრი ნინო მახაშვილი

2016 წლის აპრილში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში გამოქვეყნდა, სადაც ქვეყნის ტერიტორიაზე 12 დაწესებულების მიერ ფსიქიკური აშლილობების მქონე ბენეფიციარებისთვის მიწოდებული ფსიქიატრიული სტაციონარული სერვისია შესწავლილი და შეფასებული.

უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოში სახალხო დამცველის ოფისი 2006 წლიდან სისტემატურად სწავლობს და აქვეყნებს დახურულ ინსტიტუციებში ადამიანის უფლებების პრაქტიკის შესახებ ანგარიშებს, რაც ექსპერტთა აზრით, ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატალიზატორია. ბოლო ანგარიშიც ამ სფეროში ჩართული და დაინტერესებული პირებისთვის ძლიერი ინსტრუმენტია, რადგან სრულად აღწერს არსებულ მდგომარეობას და სიტუაციის პოზიტიური ცვლილებისთვის მკაფიო რეკომენდაციებს იძლევა.

აღსანიშნავია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფჯ) სფერო და სამსახურები საკმაოდ დიდი ყურადღების ქვეშ არის მოქცეული ბოლო წლებია სფეროს ჰყავს ძლიერი ლობი არასამთავრობო ორგანიზაციების სახით; ისინი თანამედროვე სერვისებს ავითარებენ და აწვდიან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებს, ჩართულნი არიან ფჯ რეფორმის პროცესში და ძლიერ საერთაშორისო კავშირებს იყენებენ ახალი ცოდნის და გამოცდილების გასაზიარებლად და დასანერგად. ბოლო რამდენიმე წელია, შედარებით გააქტიურდა პროფესიული საზოგადოებებიც; მკვიდრდება კვლევებზე და შესაბამის მტკიცებულებაზე-დაფუძნებული ჯანდაცვის სერვისების და პოლიტიკის შემუშავების პრაქტიკა; ეწყობა საერთაშორისო ტრენინგები, კონფერენციები; სხვადასხვა მდგომარეობათა ეფექტური, ხარისხიანი მართვისთვის ადაპტირდა შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობის სფერო ერთ-ერთ პრიორიტეტად

სახელდება სახელმწიფოს მიერაც - რასაც ადასტურებს სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება საქართველოს პარლამენტის მიერ (2013 წ.), ეროვნული სტრატეგიის და 2015-2020 წწ სამოქმედო გეგმის მიღება შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური საკითხების სამინისტროს მიერ (2014 წ.), ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის გაზრდილი ბიუჯეტი (სამწუხაროდ, ეს ზრდა 2016 წელს შეჩერდა) და სერვისებით გამრავალფეროვნება.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში აღწერს და აანალიზებს რეფორმატორულ პროცესებს და ამ ფონზე გვაწვდის სტაციონარული სამსახურების მძიმე სურათს. უმეტეს სტაციონარებში, თითქოს დრო შეჩერებულია და სურათი ბოლო 10 წლის განმავლობაში ძირეულად არ იცვლება - პაციენტის პიროვნების პატივისცემა, მისი უფლებების აღიარება, ფსიქიკური აშლილობების მქონე პირთა გაძლიერებასა და აღდგენაზე ზრუნვა კვლავ არ არის ამ სამსახურების წამყვანი ღირებულება და პათოსი.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკა პირდაპირ-პროპორციულია მკურნალობისა და ზრუნვის ხარისხთან. რაც უფრო სისტემურია სასტიკი, არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები, მით დაბალია მოვლისა და დახმარების მიწოდების ხარისხი.

ანგარიში ცხადყოფს, რომ ცვლილებების მცდელობის მიუხედავად, ჰოსპიტალიზებული ადამიანები, ძირითადად, საკუთარი ნების გარეშე იღებენ მკურნალობას ფორმალური „ინფორმირებული თანხმობის“ ფონზე; მკურნალობა, ძირითადად, მხოლოდ მედიკამენტოზურია; ფსიქოლოგიური მკურნალობის, სოციალური დახმარების და რეაბილიტაციური ჩარევების წილი უაღრესად მწირია; დღის სტრუქტურა უმეტესად არ არსებობს, ადამიანები დღეებს პალატებში/განყოფილებებში ატარებენ უნარ-ჩვევების არათუ განმავითარებელ, არამედ გამაღარიბებელ გარემოში; ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის პრაქტიკა გავრცელებულია; ხშირად განყოფილებები უსაფრთხო არ არის; ჰოსპიტალიზებული ადამიანები ფიზიკური და ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიან და ა.შ. ანგარიშში ვკითხულობთ ე.წ. „უვადო“ პაციენტებზეც.

მონიტორინგის შედეგად აღწერილი ფსიქიატრიული დახმარების სისტემა, რომელიც მკურნალობასა და აღდგენაზე უნდა იყოს ორიენტირებული, თავად არის მატრავმირებელი და ფსიქიკური აშლილობების მქონე ადამიანებში დასწავლილი უსუსურობის სინდრომს ანვითარებს.

რა თქმა უნდა, ანგარიში შავ-თეთრ სურათს არ ხატავს და ცდილობს, აღნიშნოს ის მცდელობები და ინიციატივები, რაც ამა თუ იმ კლინიკას გამოარჩევს, მაგრამ ზოგადი ფონი დამთრგუნველი და მძიმეა.

იმედს ვიტოვებთ, რომ ანგარიშის რეკომენდაციების ადრესატები (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სტაციონარული სამსახურების დირექტორები, საქართველოს მთავარი პროკურორი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, იურიდიული დახმარების სამსახური) შეეცდებიან სახალხო დამცველის მიერ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულებას.

ცხადია, რომ რეალური და პრაქტიკაში გადატანილი პოლიტიკური ნების გარეშე, რესურსების - ადამიანური, ფინანსური, ტექნიკური, ექსპერტული რესურსების - მოზიდვის და განვითარების გარეშე, სხვადასხვა სააგენტოების კოორდინირების გარეშე ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ვერ გახდება ჰუმანური, ადამიანის უფლებების პატივისცემასა და დაცვაზე ორიენტირებული სფერო.

10. საერთაშორისო სიახლეები

ციხის საერთაშორისო რეფორმის მიერ გამოქვეყნდა ანგარიში „2016 წლის გლობალური ტენდენციები ციხეებში“.[24] ანგარიშში მიმოხილულია საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიტიკაში განვითარებული მოვლენები და ეროვნულ დონეზე განხორციელებული ისეთი მნიშნელოვანი ცვლილებები, როგორიცაა ციხის მოსახლეობის

[24]ციხის საერთაშორისო რეფორმა, გლობალური ტენდენციები ციხეებში, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2015/04/PRI-Prisons-global-trends-report-LR.pdf ბოლოს ნანახია: [ბოლოს ნანახია 15.06.2016]

რაოდენობის შემცირების კუთხით არსებული ტენდენციები, ციხის მართვის საკითხები (მაგ. უსაფრთოხება და ძალადობა, რადიკალიზაცია, სუსტი სასჯელაღსრულება, კორუფცია და ახალი ტექნოლოგიები). ანგარიშში აგრეთვე წარმოდგენილია ახალი თავი, რომელიც შეეხება კვების უზრუნველყოფას ციხეებში, მათ შორის კვებასთან მიმართებაში გასაწევ ხარჯებთან დაკავშირებულ მონაცემებს.

ანგარიშში ფოკუსის სახით განხილულია ციხის თანამშრომლების გადატვირთულობა და დაბალი ანაზღაურების საკითხი. ამავე დროს, ანგარიშში საუბარია ციხის თანამშრობლობის შერჩევის, გადამზადებისა და მათთვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნაზე.

11. მომავალი ღონისძიების ანონსი

2016 წლის 20-23 ივნისს, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამავე დეპარტამენტის მკვლევარ-ანალიტიკოსი მონაწილეობას მიიღებენ ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში გასამართ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც შეეხება პრევენციის ეროვნული მექანიზმების მიერ ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის საკითხებს.

2016 წლის 24 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველი საზოგადეოებას პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიურ ანგარიშს წარუდგენს.

2016 წლის 27-29 ივნისს, პოლონეთს დედაქალაქ ვარშავაში, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას მიიღებენ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც შეეხება მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგს.

საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი 2016 წელი

კონტაქტი :

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ: +99532 2234499/2913814/2913815/
2913841/2913842/2913843/2913875/2913876
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

საქართველოს სახალხო დამცველი
ცხელი ხაზი: 1481

მუშაობს 24 საათიან რეჟიმში, მათ შორის, არასამუშაო დღეებსა და საათებში.

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქუჩა N9
მობ: 577 50 52 31
ტელ: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ: 577 50 52 34
ტელ: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქუჩა 4
მობ: 577 12 27 70
ტელ: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.3
მობ: 591 88 35 38
ტელ: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18

მობ: 577 55 33 81
ტელ: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქუჩა N1

მობ: 577 78 27 42
ტელ: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქუჩა N51

ტელ: 0357 22 19 70

ოზურგეთი :
დავით აღმაშენებლის N9

ტელ:0496 27 30 53
მობ:593 44 44 27